

## გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

### პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“  
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე

#### ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

##### ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“  
მე-16 მუხლის და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 78-ე მუხლის მოთხოვნების  
შესრულება;

##### ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

პროექტით ხორციელდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლისათვის ქალაქ  
ბათუმის მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით  
მისაღები შემოსულობების და გასაწევი გადასახდელების ნუსხის დამტკიცება საბიუჯეტო  
კლასიფიკაციის შესაბამისად;

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის შემუშავებისას  
მხედველობაში იქნა მიღებული COVID-19 პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი  
და ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მაჩვენებელი და საქართველოს მთავრობის მიერ  
შემუშავებული ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები. აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტის  
პარამეტრებზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია გლობალური პანდემიით (COVID-19)  
გამოწვეულმა ეკონომიკური განვითარების ტენდენციებმა, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა  
როგორც საგადასახადო და ასევე სხვა შემოსულობების ნაწილი. პანდემიასთან  
დაკავშირებული გაურკვეველი მდგომარეობა მნიშვნელოვნად ართულებს შემდგომი წლის  
ბიუჯეტის შემოსავლების ზუსტ პროგნოზირებას, რომელიც თავის მხრივ დამოკიდებული  
იქნება ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებზე და პანდემიით  
გამოწვეული შეზღუდვებიდან გამომდინარე ეკონომიკურ აქტივობაზე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პირველად (ვერსია -  
15.11.2020 წ.) პროექტში განხორციელებული ცვლილებების შესახებ დეტალური ინფორმაცია  
განმარტებით ბარათს თან ერთვის დანართის სახით (დანართი 1; დანართი 2);

#### ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების  
წყარო:

წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული გადასახდელების დაფინანსების  
წყაროს წარმოადგენს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის  
შემოსულობები;

##### ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 151 000,0 ათას ლარს.

გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებლები შეადგენს 71,895.9 ათას ლარს. მათ შორის:

ქონების გადასახადი - 29,000.0 ათასი ლარი;

დამატებული ღირებულების გადასახადები - 42,895.9 ათასი ლარი.

ფინანსური დახმარების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 45 900.0 ათასი ლარით: მათ შორის:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მისაღები კაპიტალური ტრანსფერი - 45 000.0 ათასი ლარი;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მისაღები სპეციალური ტრანსფერი - 900.0 ათასი ლარი;

2021 წლისთვის ადგილობრივი ბიუჯეტის სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 20,354.1 ათასი ლარის ოდენობით:

- საკუთრებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1,579.1 ათასი ლარის ოდენობით. აქედან:

- პროცენტების სახით დაგეგმილია 310.0 ათასი ლარის მობილიზება;

- რენტის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1,269.1 ათასი ლარის ოდენობით.

- საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 14,050.0 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის:

- სანებართვო მოსაკრებლები - 500.0 ათასი ლარის ოდენობით.

- სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - 10,500.0 ათასი ლარის ოდენობით.

- მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 3,050.0 ათასი ლარის ოდენობით.

- ჯარიმებით, სანქციებითა და საურავებით მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 4 150.0 ათასი ლარის ოდენობით.

- შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 575.0 ათასი ლარის ოდენობით.

არაფინანსური აქტივების კლების მაჩვენებელი განისაზღვრა 12 850.0 ათასი ლარით.

პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ასიგნებები შეადგენს 151 000.0 ათას ლარს.

ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები გადანაწილდა შემდეგნაირად:

- ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიანი ასიგნებების 61,6% - 92,943.8 ათასი ლარი მოდის ხარჯვებზე, მათ შორის:

- შრომის ანაზღაურება - 25,115.5 ათასი ლარი - საბიუჯეტო ორგანიზაციების 2021 წლის შრომის ანაზღაურების ფონდის გაანგარიშება განხორციელდა 2020 წელს მოქმედი სამტატო ნუსხით, გარდა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამისა, სადაც 2021 წელს ერთი ერთეული საბავშვო ბაღის, ექსპლოატაციაში შესვლის გათვალისწინებით ა(ა)იპ -

ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების მომუშავეთა რიცხოვნობა იზრდება 37 ერთულით, ასევე 2021 წლის 1 სექტემბრიდან დაგეგმილია ბაღის თანამშრომლების (გარდა ადმინისტრაციისა) თანამდებობრივი სარგოების ცვლილება.

- საქონელი და მომსახურება - 39,754.4 ათასი ლარი;

- პროცენტი - 258.9 ათასი ლარი;

- გრანტები - 15.0 ათასი ლარი;

- სუბსიდიები - 11,993.3 ათასი ლარი;

- სოციალური უზრუნველყოფა - 9,799.7 ათასი ლარი;

- სხვა ხარჯები - 6,007.0 ათასი ლარი;

• მთლიანი ასიგნებების 36.4% - 54,999.7 ათასი ლარი მოდის არაფინანსური აქტივების ზრდაზე.

• ადგილობრივი ბიუჯეტიდან ვალდებულებების (სესხის ძირი თანხის) დაფარვას 3,056.5 ათასი ლარი მოხმარდება, რაც მთლიანი ასიგნებების 2.0%-ია.

• პროგრამული კლასიფიკაციის შესაბამისად პრიორიტეტების მიხედვით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგნაირად:

- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება - 11,633.2 ათასი ლარი, მათ შორის:

ა) სასესხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა - 3,315.4 ათასი ლარი, აღნიშნულ ღონისძიებაში არ არის ასახული გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW) მიღებული სესხების მომსახურება, რომელთან დაკავშირებითაც მუნიციპალიტეტის მიერ წარდგენილია შუამდგომლობა საქართველოს მთავრობის წინაშე, "ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტთან" დაკავშირებით არსებული სასესხო ვალდებულებების (ძირითადი და საპროცენტო თანხები) მომსახურების ვადის ცვლილებაზე, საურავების დარიცხვის გარეშე;

ბ) სარეზერვო ფონდი - 1,250.0 ათასი ლარი;

გ) წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი - 100.0 ათასი ლარი;

- მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება - 68,226.7 ათასი ლარი;

- ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება - 20,432.1 ათასი ლარი;

- განათლება - 15,377.0 ათასი ლარი;

- კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი - 12,106.4 ათასი ლარი;

- ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 15,909.9 ათასი ლარი;

- ქალაქის ეკონომიკური და ურბანული განვითარება - 1,260.0 ათასი ლარი;

- მუნიციპალური სერვისების განვითარება - 6,054.7 ათასი ლარი.

ბ.გ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს მნიშვნელოვანი რესურსების გამოყოფას და ოპტიმალურ გადანაწილებას სხვადასხვა სფეროებზე, რაც საბოლოო ჯამში გააუმჯობესებს ქ. ბათუმის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას;

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

პროექტი მომზადებულია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ მოთხოვნათა შესაბამისად და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას;

**დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები**

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის შემუშავებისას მიღებული იქნა კონსულტაციები საქართველოს ფინანსთა სამინისტროსაგან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსაგან;

**ე) პროექტის ინიციატორი:**

პროექტის ინიციატორია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი;

**ინფორმაცია**  
**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტში განხორციელებული**  
**ცვლილების შესახებ**

(ათას ლარებში)

| დასახელება                   | 2021 წლის<br>პროექტი<br>(პირველი<br>წარდგენა) | 2021 წლის<br>პროექტი<br>(მეორე<br>წარდგენა) | ცვლილება +/- |
|------------------------------|---|---|--------------|
| <b>შემოსულობები</b>          | <b>150,100.0</b>                              | <b>151,000.0</b>                            | <b>900.0</b> |
| შემოსავლები                  | 137,250.0                                     | 138,150.0                                   | 900.0        |
| გადასახადები                 | 71,895.9                                      | 71,895.9                                    |              |
| გრანტები                     | 45,000.0                                      | 45,900.0                                    | 900.0        |
| სხვა შემოსავლები             | 20,354.1                                      | 20,354.1                                    |              |
| არაფინანსური აქტივების კლება | 12,850.0                                      | 12,850.0                                    |              |
| <b>გადასახდელები</b>         | <b>150,100.0</b>                              | <b>151,000.0</b>                            | <b>900.0</b> |
| ხარჯები                      | 92,591.1                                      | 92,943.8                                    | 352.7        |
| შრომის ანაზღაურება           | 25,115.5                                      | 25,115.5                                    |              |
| საქონელი და მომსახურება      | 39,701.7                                      | 39,754.4                                    | 52.7         |
| პროცენტი                     | 258.9   | 258.9                                       |              |
| სუბსიდიები                   | 11,993.3                                      | 11,993.3                                    |              |
| გრანტები                     | 15.0  | 15.0  |              |
| სოციალური უზრუნველყოფა       | 9,499.7                                       | 9,799.7                                     | 300.0        |
| სხვა ხარჯები                 | 6,007.0                                       | 6,007.0                                     |              |
| არაფინანსური აქტივების ზრდა  | 54,452.4                                      | 54,999.7                                    | 547.3        |
| ვალდებულებების კლება         | 3,056.5                                       | 3,056.5                                     |              |
| <b>ნაშთის ცვლილება</b>       |   |   |              |

**ინფორმაცია  
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტში განხორციელებული ცვლილების შესახებ**

**შემოსულობების ცვლილება**

(ათას ლარებში)

| № | დასახელება   | თანხა        | შენიშვნა   |
|---|--|--------------|--|
| 1 | <b>გრანტები</b>  | <b>900.0</b> |  |
|   | სპეციალური ტრანსფერი აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან | 900.0        | იზრდება აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერის მოცულობა |
|   | <b>ჯამი</b>  | <b>900.0</b> |  |

**გადასახდელების ცვლილება**

(ათას ლარებში)

| პროგრამ. კოდი | დასახელება   | თანხა              | შენიშვნა   |
|---------------|--|--------------------|--|
|               |  | საბიუჯეტო სახსრები |  |
| 02 01 05      | <b>საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობა</b>  | <b>1,057.700</b>   | განმახორციელებელი - ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო                    |
|               | ქ. ბათუმში, ვაგარინის ქუჩის გაგრძელება კეთილმოწყობა  | -18.929            | მცირდება ღონისძიების დაფინანსება საპროექტო ღირებულების დაზუსტების გამო                                 |
|               | ქ. ბათუმში, ბაღის ქუჩის პირველი შესახვევის კეთილმოწყობა  | -65.000            | მცირდება სამუშაოების დაფინანსება, ღონისძიებით განსაზღვრული თანხა ათვისებულ იქნება 2020 წელს            |
|               | ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ქუჩის (მარტავას წრიულიდან ვ. ფშაველას ქუჩამდე) რეაბილიტაციის სამუშაოები  | -1,573.692         | მცირდება ღონისძიების 2021 წლის საპროგნოზო დაფინანსების მოცულობა (მრავალწლიანი (2021-2022 წ.) შესყიდვა) |
|               | ქ. ბათუმის ადმინისტრაციული ტერიტორიაზე -სამრეწველო ზონის მიმდებარედ (ადგილობრივი მნიშვნელობის გზის "მახოს ხიდი-გინიოს ხიდისა" და "გეზის მიმდებარედ) მთავარი და მეორე ხარისხის ხიდი გზის მშენებლობა - მოწყობის სამუშაოები | -814.802           | მცირდება ღონისძიების 2021 წლის საპროგნოზო დაფინანსების მოცულობა (მრავალწლიანი (2021-2022 წ.) შესყიდვა) |
|               | ქ. ბათუმში, მ. ვარშანიძის VI ჩიხის კეთილმოწყობა  | 150.000            | იზრდება ღონისძიების დაფინანსება (მრავალწლიანი (2020-2021 წ.) შესყიდვა)                                 |
|               | ქ. ბათუმში, მამია ვარშანიძის მეორე შესახვევის კეთილმოწყობა   |                    |  |
|               | ქ. ბათუმში, ჯავახიშვილის I და II შესახვევის რეაბილიტაცია   | 333.500            | იზრდება ღონისძიების დაფინანსება (მრავალწლიანი (2020-2021 წ.) შესყიდვა)                                 |
|               | ქ. ბათუმში, ოძელაშვილის ქუჩის რეაბილიტაცია   |                    |  |
|               | სარაჯიშვილის ქუჩის (სანიაღვრეთი) კეთილმოწყობა  |                    |  |
|               | და სვიშვესკის ქუჩის კეთილმოწყობა; და სვიშვესკის I შესახვევის, I და II ჩიხის კეთილმოწყობა   | -435.400           | მცირდება სამუშაოების დაფინანსება, ღონისძიებით განსაზღვრული თანხა ათვისებულ იქნება 2020 წელს            |
|               | ი. გრიშაშვილის ქუჩის კეთილმოწყობის სამუშაოები  | 150.000            | იზრდება ღონისძიების დაფინანსება (მრავალწლიანი (2020-2021 წ.) შესყიდვა)                                 |
|               | ი. გრიშაშვილის ჩიხის კეთილმოწყობის სამუშაოები  |                    |  |
|               | გ. ჩოხელის ქუჩის I ჩიხის კეთილმოწყობა  |                    |  |
|               | გ. ჩოხელის ქუჩის კეთილმოწყობა  |                    |  |
|               | ქ. ბათუმში, მაჭახლის ქ. N41-დან N59-დე მონაკვეთის კეთილმოწყობა   | 108.500            | იზრდება ღონისძიების დაფინანსება (მრავალწლიანი (2020-2021 წ.) შესყიდვა)                                 |
|               | ქ. ბათუმში, ფრ. ხალვაშის VII ჩიხის კეთილმოწყობა  |                    |  |
|               | ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის III ჩიხის კეთილმოწყობა   |                    |  |
|               | ქ. ბათუმში, ზედალელის ქ. N2-დან N20-მდე მონაკვეთში ფეხით მოსიარულეთა სავალი ბილიკის მოწყობა  |                    |  |
|               | ქ. ბათუმში, მ. შარაშიძის N70   |                    |  |
|               | ქ. ბათუმში, ურების დას. #25 და #56 მდე გზის მიმდებარედ   |                    |  |
|               | ქ. ბათუმში, ყ. შერვაშიძის აღმართი №4   |                    |  |
|               | ქ. ბათუმში, მაჭახლის №58 გზის გამაგრება  |                    |  |
|               | ქ. ბათუმში, მ. ვარშანიძის IV ჩიხი №3   |                    |  |
|               | ქ. ბათუმში, თევდორე მღვდლის ქუჩა 1-კმ-ში მისასვლელი გზა  |                    |  |
|               | ქ. ბათუმში, წმინდა ნინოს ქ. N9-ის მიმდებარედ რკ/ბეტონის საყრდენი კედლის მშენებლობა   |                    |  |
|               | ქ. ბათუმში, ავგის ქ. №16   |                    |  |
|               | ქ. ბათუმში, იოანე ლაზის I შესახვევი №29  | 191.837            | იზრდება ღონისძიების დაფინანსება (მრავალწლიანი (2020-2021 წ.) შესყიდვა)                                 |
|               | ქ. ბათუმში, პეტრე იბერის II ჩიხი №7  |                    |  |
|               | ქ. ბათუმში, ჰორტენზიის ქ. №4-ის მიმდებარედ დამცავი კედლის მოწყობა  |                    |  |
|               | ქ. ბათუმში, კვიპროსის №42  |                    |  |
|               | ქ. ბათუმში, ახალგაზრდობის ქ. №16-ში ფერდასამაგრი კედლის მოწყობის სამუშაოები  |                    |  |
|               | ქ. ბათუმში, სათნოების I ჩიხი №7-ის მიმდებარედ სავტომობილო გზა  |                    |  |
|               | ქ. ბათუმში, მამია ვარშანიძისა და ზედალელის ქუჩების კვეთაში სანიაღვრე არხზე დამცავი მოაჯირის მოწყობა  |                    |  |
|               | მაიაკოვსკის ქუჩაზე არსებული გზაგამყოფის ლითონის დეკორატიული ღობის მოწყობა  |                    |  |
|               | ქ. ბათუმში, მამია ვარშანიძის ქუჩა N177 ხიდობის მოწყობა   |                    |  |

|                 |   |                   |  |
|-----------------|---|-------------------|--|
|                 | ქ. ბათუმი, პეტრე იბერიის ქ. N3-ს მიმდებარედ სტიქიის შედეგად ადიდებული მდინარის მიერ დაზიანებული ხიდბოგირის აღდგენა  |                   |  |
| 243.224         | ქ. ბათუმი, მამია ვარშანიძის 2 შესახვევში #16 მიმდებარედ ხიდბოგირის და ფურდსაგრი კედლების რეაბილიტაცია-მოწყობა   |                   | იზრდება ღონისძიების დაფინანსება (მრავალწლიანი (2020-2021 წ.) შესყიდვა)   |
|                 | ქ. ბათუმი, ანგისის პირველ შესახვევში #74-სა და #76-ს შორის საავტომობილო ხიდის დემონტაჟი და ახლის მოწყობა  |                   |  |
|                 | ქ. ბათუმი, მახვილაურის დასახლებაში N1 მიმდებარედ ხიდბოგირის მოწყობა   |                   |  |
|                 | ქ. ბათუმი, ჰელიმიძის ქ. N84-ის მიმდებარე ტერიტორიაზე ხიდის რეაბილიტაცია   |                   |  |
|                 | ქ. ბათუმი, აკაკი შანიძის ქუჩაზე ფრ. ხალვაშის გამზირიდან მდ. მეჯინისწამდე მონაკვეთში ორი ხიდბოგირის მოწყობა  |                   |  |
|                 | ქ. ბათუმი, ზედადელეს ქ. N34 ხიდბოგირის მოწყობა  |                   |  |
| 705.980         | მარკოზ აქარელის შესაბამე შესახვევი N839-ის მიმდებარედ გზის მონაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები თამარ მეფის გამზირის მე-4 შესახვევის კეთილმოწყობის სამუშაოები  |                   | დაემატა ღონისძიების დაფინანსება (სამუშაოების შესყიდვა 2020 წელს ვერ განხორციელდა)                                      |
| 836.355         | ხიმშიაშვილის დასახლების ქუჩების კეთილმოწყობა: ი. ჯავახიშვილის ქუჩის კეთილმოწყობა (ტბელ აბუსერიძის ქუჩიდან შ. ხიმშიაშვილის ქუჩამდე), კილინის არხის მიმდებარე ქუჩის კეთილმოწყობა  |                   | დაემატა ღონისძიების დაფინანსება (მრავალწლიანი (2020-2021 წ.) შესყიდვა)   |
| 1,000.000       | ბათუმი კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსება (მეოთხე ფაზის) ფარგლებში მიმდინარე წყალარინების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების შემდეგ დაზიანებული ქუჩების აღდგენითი სამუშაოები - მეორე ეტაპი |                   | დაემატა ახალი ღონისძიება   |
| 210.545         | ქ. ბათუმი, რუსთაველის ქუჩაზე ი. ჯავახიშვილის ქუჩიდან შ. ხიმშიაშვილის ქუჩამდე (მაგნოლიის ირვავი) გზის სავალი ნაწილის რეაბილიტაცია  |                   | დაემატა ახალი ღონისძიება (დამატებითი სამუშაოები სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაციის ჩათვლით)                              |
| 35.582          | გონიის დასახლებაში საპლანტაციო გზის ზედა მონაკვეთში ორი ხიდბოგირის მოწყობა  |                   | დაემატა ღონისძიების დაფინანსება (მრავალწლიანი (2020-2021 წ.) შესყიდვა)   |
| <b>02 03 05</b> | <b>სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა</b>   | <b>-1,900.200</b> | განმახორციელებელი - ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო                                    |
|                 | ქ. ბათუმი, რომაელების ქუჩის სანიაღვრე არხის მოწყობა   |                   |  |
|                 | ქ. ბათუმი, ლევან გოთუას ქუჩის N14 სახლის მიმდებარედ (VII ჩიხში) სანიაღვრე არხის მოწყობა   |                   |  |
|                 | ქ. ბათუმი, ლევან გოთუას ქ. N42-N46-ის საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა  |                   |  |
|                 | ქ. ბათუმი, ლევან გოთუას მეტეცხე ჩიხში სანიაღვრე არხის მოწყობა   | -502.199          | მკირდება სამუშაოების დაფინანსება, ღონისძიებით განსაზღვრული თანხა ათვისებულ იქნება 2020 წელს                            |
|                 | ქ. ბათუმი, ლევან გოთუას მეოთხე ჩიხში სანიაღვრე არხის მოწყობა  |                   |  |
|                 | ქ. ბათუმი, გოთუას მეორე ჩიხში სანიაღვრე არხის მოწყობა   |                   |  |
|                 | ქ. ბათუმი, ლევან გოთუას შესაბამე ჩიხში სანიაღვრე არხის მოწყობა  |                   |  |
|                 | ქ. ბათუმი, ლევან გოთუას N1 ჩიხში სანიაღვრე არხის მოწყობა  |                   |  |
|                 | ახალი ბულვარიდან აეროპორტის გზატკეცილამდე მეჯინის არხის გასწვრივ კედლების მოწყობა   | -260.000          | მკირდება სამუშაოების დაფინანსება, ღონისძიებით განსაზღვრული თანხა ათვისებულ იქნება 2020 წელს                            |
|                 | თამარ მეფის გამზირის III შესახვევის და ჯინჭარაძის ქუჩის N1-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა  | 91.660            | იზრდება ღონისძიების დაფინანსება, სამუშაოების სპეციფიკის გათვალისწინებით  |
|                 | ქ. ბათუმი, მეჯინის არხზე აეროპორტის გზატკეცილის ხიდიდან გ. ლორთქიფანიძის 150-მდე (არხის ორივე სანაპიროზე) და გ. ლორთქიფანიძის N150-დან გ. ლორთქიფანიძის N25-მდე (მარჯვენა სანაპირო) დამცავი კედლის მოწყობა                                | -1,229.661        | მკირდება ღონისძიების 2021 წლის საპროგნოზო დაფინანსების მოცულობა (მრავალწლიანი (2021-2022 წ.) შესყიდვა)                 |
|                 | ქ. ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილიდან მეთილემის ქუჩამდე მეჯინისწყლის არხზე დამცავი კედლის მოწყობა   |                   |  |
| <b>02 04 04</b> | <b>საცხოვრებელი სახლების მშენებლობა</b>   | <b>145.000</b>    | განმახორციელებელი - ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო                                    |
|                 | ქ. ბათუმი 26 მაისის ქ. #106-ში მდებარე საოჯახო ტიპის სახლისა და ეზოს სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები  | 145.000           | დაემატა ახალი ღონისძიება   |
| <b>02 06 02</b> | <b>საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, კვლევა და ექსპერტიზა</b>  | <b>45.000</b>     | განმახორციელებელი - ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო                                    |
|                 | საქონელი და მომსახურება   | -35.000           | იზრდება ღონისძიების დაფინანსება  |
|                 | არაფინანსური აქტივები   | 80.000            |  |
| <b>03 02 02</b> | <b>პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობა</b>   | <b>790.000</b>    | განმახორციელებელი - ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო                                    |
|                 | ქ. ბათუმი ცენტრალური პარკის გარე განათების მოწყობა  | 790.000           | დაემატა ახალი ღონისძიება   |
| <b>04 01 03</b> | <b>საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობა და კაპიტალური რეაბილიტაცია</b>   | <b>210.800</b>    | განმახორციელებელი - ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო                                    |
|                 | ქ. ბათუმი, მ. ლორთქიფანიძის ქ. N96-ის მიმდებარედ მდებარე საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა   | 210.800           | დაემატა ახალი ღონისძიება (2020 წელს სამუშაოების დაწყება ვერ განხორციელდა ბაღის მშენებლობის მიმდინარე სამუშაოების გამო) |
| <b>05 02 03</b> | <b>სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია</b>  | <b>214.000</b>    | განმახორციელებელი - ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო                                    |

|          |   |         |  |
|----------|---|---------|--|
|          | ქ. ბათუმში არსებული სპორტული მოედნების რეაბილიტაცია (ქ. ბათუმი, შარაშიძის ქუჩა #56 მდებარე სპორტული მოედნის რეაბილიტაცია; ქ. ბათუმი, კანაბრის #30-ში მდებარე სპორტული მოედნის რეაბილიტაცია; ქ. ბათუმი, ხახული მე-2 შესახვევი #67-ში მდებარე სპორტული მოედნის რეაბილიტაცია; ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის მე-7 შესახვევი #2-ში მდებარე სპორტული მოედნის რეაბილიტაცია; ქ. ბათუმი, სვიმონ კანანელი #1 მდებარე სპორტული მოედნის რეაბილიტაცია; ქ. ბათუმი, აფსაროსის ვზატკეცილი 3-შესახვევი #4-ის მიმდებარე მდებარე სპორტული მოედნის რეაბილიტაცია; ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის #70-ის მიმდებარე მდებარე სპორტული მოედნის რეაბილიტაცია; ქ. ბათუმში, პულკინის ქ. #137/139-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ეზოში სპორტული მოედნის მოწყობა; ქ. ბათუმში, 26 მაისის ქ.#55/57 საცხოვრებელი სახლის მიმდებარე სპორტული მოედნის რეაბილიტაცია; ქ. ბათუმი, ანდრონიკაშვილი 49ა (ყოფილი შაფათავას #38) მდებარე სპორტული მოედნის რეაბილიტაცია; ქ. ბათუმში, თამარ მეფის შესაბე შესახვევი #2-ის მიმდებარე არსებული სპორტული მოედნის რეაბილიტაცია.) | 214.000 | დაემატა ღონისძიებების დაფინანსება (მრავალწლიანი (2020-2021 წ.) შესყიდვა)   |
| 05 03 01 | <b>კულტურული ღონისძიებების მართვა</b>   | -50.000 |  |
|          | „შენი იდეა ბათუმში“ ფარგლებში გამარჯვებული პროექტის „მოხილური კინოთეატრი“ განხორციელება   | -50.000 | ღონისძიება გადავიდა 05 06 01 - ახალგაზრდული ცენტრის ქვეპროგრამაში  |
| 05 06 01 | <b>ახალგაზრდული ცენტრი</b>  | 50.000  |  |
|          | „შენი იდეა ბათუმში“ ფარგლებში გამარჯვებული პროექტის „მოხილური კინოთეატრი“ განხორციელება   | 50.000  | ღონისძიება გადმოვიდა 05 03 01 - კულტურული ღონისძიებების მართვის ქვეპროგრამიდან   |
| 06 01 01 | <b>მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფა</b>  | 300.000 |  |
|          | დახმარება მედიკამენტების შეტენისათვის   | 300.000 | იზრდება ღონისძიების დაფინანსება ბენეფიციართა რაოდენობის გაზრდის მიზნით, ღონისძიება დაფინანსდება სპეც. ტრანსფერის ფარგლებში |
| 06 03 03 | <b>უპატრონო შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-მატრონობისა და პოპულაციის რეგულირების ღონისძიებები</b>  | 37.700  |  |
|          | ცხოველების (ზრდასრული მალაი, კატა) დაჭერა და ტრანსპორტირება ვეტერინალურ კლინიკამდე ავტომანქანით. სტერილიზაცია, კასტრაცია, კვება, ვაქცინაცია, დაბირკვა და ვეტანაზია, დაავადებული და ტრავმირებული ცხოველის მკურნალობა მ/შ ოპერაციული მკურნალობა   | 28.100  |  |
|          | ბუნებრივ არეალში გაშვებული დაბირკული გასტერილებული ცხოველების ეტაპობრივი გამოყვანა ქალაქის ტერიტორიიდან და ტრანსპორტირება ვეტერინალურ კლინიკაში რევაქცინაციასთან დაკავშირებული პროცედურების ჩატარების მიზნით. ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ცხოველების ლემის (სხვადასხვა მიზეზით გამოწვეული სიკვდილით) დროული გამოყვანა სპეციალური ტრანსპორტით და კრემაცია (კრემატორიუმში)   | 9.600   | იზრდება ღონისძიების დაფინანსება  |
|          |   | 900.000 |  |